MES 0 22 0000825709

20/07/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
დავით მღებრიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლა
მაია თეთრუაშვილი - სკოლის დირექტორი

შპს გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმი
მანანა ჩუხრუკიძე - სკოლის დირექტორი

შპს თაობა
ირაკლი მიქელაძე - სკოლის დირექტორი

შპს გრაალი
ქეთევან ლომინაძე-სახელაშვილი - სკოლის დირექტორი
ზაზა სახელაშვილი - სკოლის დირექტორის მოადგილე

შპს ახალი ქართული სკოლა
მადონა ლანჩავა - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

შპს თაობა
ქეთვან ბოტკოველი
ირინა დვალი

შპს გრაალი
მაკა ნადარეიშვილი
ირმა ხუციშვილი

შპს ახალი ქართული სკოლა
ცირა ნიკოლაშვილი
ეკატერინე ვეკუა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 6 ივლისს

ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Microsoft Teams - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლისა და შპს წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის რეორგანიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თაობის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს გრაალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ახალი ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს კანდიდი საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ საბჭოს სხდომაზე წარადგინა შპს კანდიდი საშუალო სკოლის წერილობითი შუამდგომლობა 06 ივლისის საბჭოს სხდომაზე სკოლის ავტორიზაციის საკითხის გადადებასთან დაკავშირებით. დაწესებულება ითხოვდა სკოლის წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე საკითხის განხილვის გადადებას 10 ივლისის შემდეგ. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი შეიცვალა და დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლისა და შპს წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის რეორგანიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თაობის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს გრაალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ახალი ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. **შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლისა და შპს გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის რეორგანიზაციის საკითხის განხილვა**

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ ინფორმაცია მიაწოდა საბჭოს წევრებს შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლისა და შპს გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. თამარ შენგელიას თქმით, შპს გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა ლიცეუმი უერთდებოდა შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლას. თამარ შენგელიას განმარტებით, დებულების 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შერწყმის შემთხვევაში, რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული დაწესებულება ითვლებოდა ავტორიზებულად რეორგანიზებული დაწესებულებებისათვის განსაზღვრული ავტორიზაციის ვადებიდან დარჩენილი უმცირესი ვადით. თუ ერთ-ერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლა ემთხვეოდა რეორგანიზაციის პერიოდს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილი იყო განესაზღვრა რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული დაწესებულების მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა შეადგენდა რეორგანიზაციამდე არსებული რაოდენობების ჯამს. შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის რეავტორიზაციის ვადა იყო 2022 წლის 13 ივლისი, ხოლო შპს გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის 2022 წლის 17 აგვისტო. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებების განმარტებით, რეორგანიზაციის პროცესი არ იყო დამთავრებული, რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული დაწესებულება შუამდგომლობით მიმართავდა საბჭოს 1 წლის ვადით გახანგრძლივებულიყო ავტორიზაციის ვადა 2022 წლის 13 ივლისიდან. შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 280-ს, ხოლო შპს გორის წმინდა გიორგის სახელობის წმინდა გიორგის სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 400. რეორგანიზაციის შედეგად დაწესებულების სახელი რჩებოდა შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლად, ხოლო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა კი 280. დაწესებულება არ ითხოვდა მოსწავლეთა ადგილების ჯამურად შეკრებას, ის ითხოვდა ამერიკის უნივერსიტეტისთვის განსაზღვრული ზღვრული რაოდენობის შენარჩუნებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, იკითხა თუ რამ განაპირობა რეორგანიზების საჭიროება და როდის დაიწყო ეს პროცესი.

შპს გორის წმინდა გიორგის სკოლა-ლიცეუმის დირექტორის თქმით, დაწესებულებას ჰქონდა ბევრი პრობლემა, რაც დაკავშირებული იყო დიდ ფინანსურ ხარჯებთან. სკოლის შენობა იჯარით იყო აღებული და იხდიდნენ გადასახადს. მისი თქმით, სკოლას არ მიეწოდებოდა ბუნებრივი აირი და ელექტრო ღუმელები არ იყო მთავარი გამოსავალი ამ პრობლემის მოგვარებისა. პანდემიურმა პირობებმაც ხელი შეუწყო ფინანსური პრობლემების გაზრდას.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა ითხოვა სკოლას კიდევ ერთხელ დაეზუსტებინა, თუ იდგა სხვა პრობლემა სკოლის წინაშე.
შპს გორის წმინდა გიორგი სახელობის სკოლა-ლიცეუმის წარმომადგენლის თქმით, სკოლის პრობლემა იყო სახურავის შეკეთებაც. დაწესებულებას არ ჰქონდა შესაბამისი სახსრები, ამიტომ მთავარი გამოსავალი, მისი თქმით, იყო რეორგანიზაცია, კერძოდ მიერთება შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლასთან.
შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის დირექტორის თქმით, სკოლას ჰქონდა საკუთარი ფართი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული ჰქონდა მოსაწვალეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 280. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მატერიალური და ადამიანური რესურსის ოპტიმიზაცია ორივე სკოლის რეორგანიზაციის შედეგად ერთიან სკოლას უფრო განავითარებდა. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა - 280, მოცემული ეტაპისთვის ფარავდა ორივე სკოლის მოსწავლეთა არსებულ, ფაქტობრივ რაოდენობას. აღნიშნული მოსწავლეები განთავსდებოდნენ შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის სასწავლო ფართზე. აქვე, სკოლის დირექტორმა რეორგანიზაციასთან მიმართებით განმარტა, რომ სამეწარმეო მიმართულებით უკვე დასრულებული იყო პროცესი, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვის მიზნით პროცესების სრულყოფა.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, მასწავლებლების საკითხით.
შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის დირექტორის თქმით, რეგიონში მასწავლებლობის სტატუტის მქონე მასწავლებლების რაოდენობა საკმაოდ მცირე იყო. სექტემბერში კონკურსი უნდა გამოცხადებულიყო მასწავლებლებზე. რეორგანიზების შედეგად უსტატუსო მასწავლებლებს შეავსებდნენ სტატუსიანი მასწავლებლებით, რაც ნაწილობრივ მოაგვარებდა აღნიშნულ პრობლემას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლისა და შპს წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის რეორგანიზაციის საკითხი.
რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის - შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლისთვის ავტორიზაციის ვადად 2022 წლის 13 ივლისიდან 1 (ერთი) წლის ვადის განსაზღვრისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 280-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების'' 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლისა (ს/კ: 217881326) და შპს წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის (ს/კ: 217885625) რეორგანიზაციის საკითხი. რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას - შპს ამერიკის უნივერსიტეტის

სკოლას (ს/კ: 217881326) ავტორიზაციის ვადად განესაზღვროს 2022 წლის 13 ივლისიდან 1 (ერთი) წელი (13.07.2023) და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 280. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

2. **შპს თაობის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და ირინა დვალმა. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 25, 26 და 27 მაისს, ქალაქ ბათუმში. ექსპერტის თქმით, დღის წესრიგის მიხედვით განხორციელდა შეხვედრები მასწავლებლებთან, სკოლის პერსონალთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას ჰყავდა ახალგაზრდა, განვითარებაზე ორიენტირებული მმართველი გუნდი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული სიახლეების დანერგვის პროცესში. ექსპერტის განმარტებით, სკოლა ორიენტირებული იყო არაფორმალური განათლების განვითარებაზე. დაწესებულებაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა კლუბი, რომელშიც მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული. სკოლას შემუშავებული ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცდა სკოლის დირექტორის ბრძანებით. ექსპერტის თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმაში შეტანილი იყო ცვლილება დოკუმენტაციის მონიტორინგის საფუძველზე, რის შედეგადაც გამოვლინდა ტექნიკური უზუსტობები. ექსპერტის თქმით, დირექტორის ბრძანებით შეიქმნა ჯგუფი, რომელმაც გადახედა დოკუმენტს და მასში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შეფასების შედეგად ყველა კომპონენტი შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას და გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან. სკოლის მისიიდან გამომდინარე, დაწესებულება, ორიენტრიებული იყო მოსწავლეთა უნარ-ჩვევების განვითარებასა და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ინტელექტუალური

შესაძლებლობის განვითარებასა და პასუხისმგებლიან მოქალაქეების ჩამოყალიბებაზე. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას მისია წარმოდგენილი ჰქონდა საკმაოდ ვრცლად და მიეცა რჩევა, რომ მისია ყოფილიყო შედარებით მოკლე და ლაკონური. ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, ექსპერტებს არ გაუციათ რეკომენდაციები და დაწესებულებას მისცეს მხოლოდ სამი რჩევა. მისი თქმით, სკოლაში არ დაფიქსირებულა ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით შეუსაბამობა.

ქეთევან ბოტკოველის თქმით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ არჩევით საგნებს, ჭადრაკს (1-4 კლასებში, კვირაში -1 საათი) და გერმანულ ენას (მე-3-მე-6 კლასებში, კვირაში - 2 საათი). ექსპერტებმა გასცეს რჩევა, რომ გერმანული ენის შეთავაზება ხდებოდეს მეცხრე კლასის ჩათვლით ან ფაკულტატური საგნის სახით. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანთლებლო მომსახურების სახით პირველ და მეორე კლასში ისწავლებოდა საგანი ეთიკა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ფუნქციონირებდა სხვადასხვა კლუბი. აქვე, ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ 2021-2022 სასწავლო წელს საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს მათი ინტერესების გათვალისწინებით, დაწესებულებამ შესთავაზა სხვადასხვა საგნები: მე-10 კლასს - ხელოვნების ისტორია, მე-11 კლასს - ეკონომიკა და სახელმწიფო და მე-12 კლასს - ხაზვა.

ექსპერტის განცხადებით, სპორტის სახეობებიდან სკოლას მე-7-მე-12 კლასებში ჰქონდა სხვადასხვა სახეობა: ფეხბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, კალათბურთი და მაგიდის ჩოგბურთი, შესაბამისი სპორტული დარბაზით. ექსპერტის თქმით, წარმოდგენილი საგნობრივი კათედრების მუშაობის დოკუმენტაციის, სხდომების ოქმების, პედაგოგთა პორტფოლიოების და მოსწავლეთა ნამუშევრის გაცნობის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნიდა, რომ მასწავლებლები იცნობდნენ საგნობრივ სტანდარტებს, გაკვეთილებს გეგმავდნენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნებითა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ მოსწავლეებს სთავაზობდნენ მრავალფეროვანი აქტივობებით დაგეგმილ გაკვეთილებს, რაც მათ საშუალებას აძლევდათ მიეღოთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. მოსწავლეებმა, გასაუბრების დროს, ექსპერტებს დაუდასტურეს მასწავლებლების მრავალფეროვანი მიდგომების შესახებ.

ქეთევან ბოტკოველის თქმით, შეფასების სისტემა სრულად შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასებისას უპირატესობა ენიჭებოდა კომპლექსური ტიპის დავალებებს. სკოლას შემუშავებული ჰქონდა მშობლებთან ურთიერთობის დებულება. აქვე, ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ ამავე ფუნქციას ასრულებდა ელექტრონული ჟურნალი. სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე. ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, სკოლას გამოყოფილი ჰქონდა რესურს ოთახი, ყველა პირობა იყო შექმნილი და მზად იყვნენ სსსმ მოსწავლის მისაღებად, საჭიროების შემთხვევაში.

ექსპერტებმა სკოლა შეაფასეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუირებით, საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვების ამსახველი დოკუმენტაციითა და სხვა სახის წყაროებით.

ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, სკოლის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული მექანიზმი სკოლაში ეფექტიანად ფუნქციონირებდა და მის საფუძველზე მიიღებოდა დაწესებულებაში გადაწყვეტილებები. ქეთევან ბოტკოველის თქმით, 2021-2022 სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივ ბადეში სკოლის მოსწავლეთა საჭიროებები გადანაწილებული იყო 25 %-ით სხვადასხვა საგანზე.

ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, სკოლა მდებარეობდა ქალაქ ბათუმში, 885მ² მიწის ნაკვეთზე, სამ სართულიან შენობაში. შენობა განთავსებული იყო 1135მ² ფართზე და სკოლის კანონიერ მფლობელობაში იყო 13 წლიანი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. შპს თაობაში იყო 18 საკლასო აუდიტორია. სკოლაში იყო ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და ისტის

ლაბორატორიები, დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი, რესურს ოთახი, სპორტდარბაზი და არქივი. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ჰქონდა 280 ინდივიდუალური მერხი. შესაბამისად, ექსპერტის შეფასებით, საკლასო ოთახებში განთავსდებოდა 280 მოსწავლე. ქეთევან ბოტკოველის თქმით, სკოლა აშენებდა ახალ შენობას ბათუმის ცენტრში, რომელიც ექსპერტებმა ნახეს ვიზიტის ფარგლებში. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ შენობა იყო თითქმის დასრულებული და სკოლა 1 წელიწადში გადავიდოდა ახალ ნაგებობაში.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის პირველ სართულზე განთავსებული იყო სპორტული დარბაზი, რომელიც იყო 87მ² და 4.45 მეტრი სიმაღლის. მისი თქმით, დარბაზში განთავსებული იყო სპორტული ფარები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებისთვის სრულად უზრუნველყოფდა მოსწავლეებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სათანადო დონის მიღწევის შესრულებას. ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყო ონკანი, გამწოვი და აკმაყოფილებდა ყველა პირობას.

ქეთევან ბოტკოველის თქმით, სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებული იყო 2264 წიგნი, მათ შორის ყველა საფეხურის და საგნისთვის განსაზღვრული სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში განთავსებული იყო ინტერნეტში ჩართული ერთი კომპიუტერი და ერთი პრინტერი. წიგნადი ფონდი დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესით. ექსპერტის განცხადებით, წიგნები აღრიცხული იყო კატალოგში და ბიბლიოთეკაში მოქმედებდა წიგნის გატანა-მიღების წესი. ქეთევან ბოტკოველის თქმით, სასწავლო გეგმის განხორციელებისთვის სკოლას ჰქონდა ინტერნეტში ჩართული 16 კომპიუტერი, 3 კომპიუტერი განთავსებული იყო სამასწავლებლოში, 1- ბიბლიოთეკაში, 1-რესურს ოთახში და 12- ისტ-ის კაბინეტში. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა ორენოვანი ვებ-გვერდი, ინგლისურ და ქართულ ენებზე, სადაც ყველა სახის ინფორმაციის მოძიება იყო შესაძლებელი. სკოლაში შემუშვებული იყო ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი, სადაც არსებული მექანიზმები სრულ შესაბამისობაში მოდიოდა მოთხოვნებთან. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ შენობის პირველ და მეორე სართულზე გამოკრული იყო დიდი ბანერები, სადაც ასახული იყო ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და პირველადი დახმარების წესები. შენობაში განთავსებული იყო წესების დაცვით დატენილი 9 ცეცხლმაქრი. ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, სკოლის ყველა სივრცეში განთავსებული იყო კვამლისა და მოძრავი სიგნალიზაციის დეტექტორები, განგაშის ღილაკი, ავარიული განათება და ხმოვანი სიგნალი.

ექსპერტის თქმით, სკოლის პირველ სართულზე განთავსებული იყო სამედიცინო კაბინეტი, სკოლას ჰყავდა შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ექთანი და ვიზიტის პერიოდში სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია ექიმის პოზიციაზე. ექსპერტის განმარტებით, წესრიგის დაცვას სკოლაში უზრუნველყოფნდნენ დამრიგებლები, ხოლო შენობის დაცვის შესახებ ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული დაცვის პოლიციასთან. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ წესრიგისა და უსაფრთოების დაცვა ევალებოდა წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მენეჯერს, რომელიც სკოლის ფსიქოლოგთან ერთად ზრუნავდა მოსწავლეებისთვის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის.

ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების დებულება, რომელიც გადაგზავნილი იყო შესაბამის რესურს ცენტრში, ქალაქ ბათუმში. ექსპერტების ყოფნის პერიოდში არ იყო რესურსცენტრიდან მოსული საპასუხო წერილი.

ექსპერტის განცხადებით, ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლისა და წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციით დადგინდა, რომ სკოლას ჰქონდა უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფდა სკოლის შიდა და გარე პერიმეტრების კონტროლს. სულ იყო 13 კამერა, აქედან 8 დამონტაჟებული იყო სკოლის შენობაში, 5 - გარე პერიმეტრზე.

ექსპერტის თქმით, შპს თაობის წინა სასწავლო წლის საქმიანობისა და შედეგების საფუძველზე, სკოლას გაკეთებული ჰქონდა SWOT ანალიზი. შემუშავებული ჰქონდათ 2022-2028 წლის

სტრატეგიული განვითარების გეგმა, შესასრულებელ ამოცანებს შორის იყო სკოლის ახალი შენობით უზრუნველყოფა, რომელიც შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო თანამედროვე სასკოლო სტანდარტებთან. ექსპერტის თქმით, სკოლას შემუშვებული ჰქონდა 2021-2022 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ორივე გეგმაში მნიშვნელოვანი ნაწილი ეკავა მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებას. ექსპერტებმა დაწესებულებას ურჩიეს, რომ შეემუშავებინათ გრძელვადიანი ჩარჩო, სადაც ჩამოყალიბებული იქნებოდა სკოლის მიზნები და ჩაშლილი იქნებოდა შესაბამისი ამოცანები.

ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შესაბამისი ადამიანური რესურსი, 12 თანამშრომელი და 29 მასწავლებელი, აქედან - 10 მასწავლებელს ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 16 იყო მაძიებელი მასწავლებელი, ხოლო 3 მასწავლებელს გავლილი ჰქონდა 60 კრედიტიანი პროგრამა და სწავლას ასრულებდნენ ივლისში. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ თექვსმეტმა მაძიებლობის მსურველმა მასწავლებელმა წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, იმის შესახებ, რომ ისინი გადიოდნენ გამოცდაზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ყველა მასწავლებელს გამოცდაზე გასვლა დაუფინანსა სკოლის დირექტორმა. სკოლას ჰყავდა დირექტორი, მოადგილე, საქმის მწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი, ექთანი, IT მენეჯერი და სამი დამლაგებელი.

ექსპერტის თქმით, მოსწავლეებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ ჰქონდათ განსაკუთრებული უნარ-ჩვევები და გამორჩეული ინტელექტუალური შესაძლებლობები.

ექსპერტმა, ირინა დვალმა დაამატა, რომ 60 კრედიტიანი პროგრამის პოზიტიური გავლენა იგრძნობოდა სკოლაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს თუ როგორ აიხსნებოდა კლუბების მუშაობის სპეციფიკა, თავად სკოლა სთავაზობდა კლუბებს მოსწავლეებს, თუ მოსწავლეები ირჩევდნენ სასურველ კლუბს ინტერესის სფეროს მიხედვით.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, უპასუხა, რომ მოსწავლეებისა და მასწავლებლების საჭიროებების მიხედვით, გამოკითხვის შედეგად ადგენდნენ შესაბამისი კლუბის საჭიროებას.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა მოსწავლეების ასაკობრივი ზღვარი და ინტერესები კლუბების მიხედვით. სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები სხვადასხვა კლუბში იყვნენ გაწევრიანებულები.

საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რამდენად იყო სავალდებულო აღნიშნული კლუბები უფროსკლასელი მოსწავლეებისთვის და რამდენად მაღალი იყო უფროსკლასელ მოსწავლეთა ჩართულობა კლუბურ აქტივობებში.

სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კლუბები დაწესებულებაში არ იყო სავალდებულო, ჩართულობა სხვადასხვა კლუბურ აქტივობაში იყო მოსალოდნელზე მაღალი, თუმცა მოსწავლეებს სურვილის შემთხვევაში შეეძლოთ გაკვეთილების დასრულების შემდეგ არ ჩართულიყვნენ დამატებით სასკოლო აქტივობებში.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 272 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თაობის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 272 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს თაობას (ს/კ: 445474415) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 272-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს სხდომაზე 16:10 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:20 საათზე

3. შპს გრაალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ნადარეიშვილმა და ირმა ხუციშვილმა.

ექსპერტ, მაკა ნადარეიშვილის თქმით დაწესებულებაში ვიზიტი განახორციელდა მიმდინარე წლის 24 და 25 მაისს. სკოლას ჰქონდა სწავლების ორი საფეხური, საბაზო და საშუალო საფეხურები. მოსწავლეთა რაოდენობა ვიზიტის დროს იყო 54, ზღვრულ რაოდენობაზე სკოლას მოთხოვნა ჰქონდა 100 მოსწავლეზე. სკოლა ფლობდა 118 ინდივიდუალურ მერხს, ერთ ლაბორატორიას, 18 კომპიუტერსა და 8 საკლასო ოთახს. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლის ბიბლიოთეკა ყოველ წელს მოსწავლეებს უსასყიდლოდ გადასცემდა წიგნებსა და სასკოლო-სახელმძღვანელოებს საჭიროებისამებრ. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლა თანამშრომლობდა იტალიის საელჩოსთან საქართველოში. მოსწავლეები და მასწავლებლები ერთობლივად ასრულებდნენ სასწავლო-შემეცნებით პროექტებს და შემდგომ სკოლაში იწვევდნენ იტალიის საელჩოს წარმომადგენლებს. ექსპერტის თქმით, მისასალმებელი იყო ის ფაქტი, რომ სკოლა ინგლისურთან ერთად ასწავლიდა იტალიურ ენას. მაკა ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის ძლიერი მხარე იყო პანდემიის პირობებში მოსწავლეების მაქსიმალურად შენარჩუნება. ექსპერტის თქმით, სკოლას უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე 13 მასწავლებელი ჰყავდა, მხოლოდ 2 მასწავლებელი იყო უსტატუსო, რადგან მათი საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდა ჯერ არ იყო ჩატარებული.

ექსპერტ, მაკა ნადარეიშვილის თქმით, ერთ-ერთ საკლასო ოთახში იდგა ქსელური მართვის 9 კომპიუტერი, რომელსაც მასწავლებლები იყენებდნენ სასწავლო რესურსად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ძირითადი კომპიუტერიდან მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის დავალებები ეგზავნებოდათ, მოსწავლეები ინდივიდუალურად და ქსელურად მუშაობდნენ ამ კომპიუტერებთან. ეს კომპიუტერები მასწავლებლების მხარდაჭერითა და სურვილის მიხედვით შესაძლებელი იყო ინტერნეტს დაკავშირებოდა. ექსპერტის თქმით, სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ისწავლებოდა ყველა საგანი, ასევე დაწესებულება მოსწავლეებს არჩევით საგნებსაც სთავაზობდა.

ექსპერტმა, მაკა ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლა ცდილობდა ეროვნული სასწავლო გეგმის მექანიზმები გაეუმჯობესებინა. სკოლა ატარებდა ყოველწლიურად გამოკითხვას მოსწავლეებში და შედეგების საფუძველზე სკოლა ფიქრობდა ეროვნული სასწავლო გეგმის გაუმჯობესებაზე. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ გამოგზავნილ ანგარიშში გამოკვეთილი იყო მოსწავლეთა შემოთავაზებები, სადაც იყო მოსწავლეების სურვილები და შენიშვნები. ექსპერტის თქმით, მოსწავლეებს სურდათ გაკვეთილის ძირითადი ნაწილი პრაქტიკული ყოფილიყო. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი, ამიტომ ექსპერტები დაინტერესდნენ, თუ რა განახორციელა ამ მიმართულებით სკოლამ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობდნენ სხვადასხვა ტიპის გაკვეთილებსა და კომპლექსური ტიპის შემაჯამებელ დავალებებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, პროგრესის უკეთ დასანახად ყოველწლიური გამოკითხვის შედეგად, გამოეყოთ საკითხები, თუ რა პრობლემა დაინახეს და რა გზა და ამოცანები დასახეს მის აღმოსაფხვრელად.

მაკა ნადარეიშვილის თქმით, ექსპერტებმა შეამოწმეს სკოლის მატერიალური რესურსი. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა ცალკე სპორტული დარბაზი. სკოლა სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად იყენებდა ჰოლს, სადაც იდგა ჩოგბურთის მაგიდა. დაწესებულებას ჰქონდა ღია აუზი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდა მოსწავლეთათვის და ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში მისცეს რეკომენდაცია ამ საკითხის გამოსწორების შესახებ. სკოლამ წარმოადგინა ბინათმესაკუთრე ამხანაგობასთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც აძლევდა სტადიონით სარგებლობის უფლებას. საათობრივადაც ზუსტად ის საათები იყო გათვალისწინებული, რაც სასწავლო საათობრივ ბადეს ერგებოდა. ექსპერტის თქმით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა კალათბურთს, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკს.

ექსპერტმა, მაკა ნადარეიშვილმა განაცხადა, რომ სკოლას პრობლემა ჰქონდა უსაფრთხოების კუთხით, კერძოდ, ღია აუზის მიმდებარე ტერიტორია არ იყო შემოსაზღვრული. სკოლამ

ვიზიტის პერიოდშივე დაკეტა აღნიშნული სივრცე, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების დროს წარმოადგინა ფოტო-მასალა, სივრცე გამიჯნა, ჩაკეტა და დაამონტაჟა ვიდეოთვალი.
ექსპერტის თქმით, სკოლაში იყო კეთილგანწყობილი ურთიერთობა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის. ინტერვიუები ჩატარდა ონლაინ და პირისპირ რეჟიმში. მაკა ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაკვეთილების პერიოდში ენახათ სკოლა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ ერთი რეკომენდაცია იყო შესასრულებელი და რას აპირებდა სკოლა ამ რეკომენდაციასთან მიმართებით.
სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლამ მაქსიმალურად გაითვალისწინა რჩევები და რეკომენდაციები. მისი თქმით, სკოლა დაუკავშირდა ადგილობრივ გამგეობას, რომელმაც გადაამისართა მერიის ამხანაგობასთან, ნუცუბიძე 101-თან. მათთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომ მომავალი 2022-2023 სასწავლო წლიდან ამ სპორტული მოედნით ისარგებლებენ დილის 9 საათიდან 3 საათამდე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განმარტა, რომ რეკომენდაცია გაიცა სასკოლო სასწავლო გეგმასთან მიმართებითაც. მისი თქმით, დეტალურად უნდა გაიწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ან გაუთვალისწინებელი მომსახურებათა ჩამონათვალი, მიზნები და პროგრამები. აღნიშნული სკოლას საშუალებას მისცემდა გათვალისწინებულ ყველა ელემენტს მიქცეოდა სათანადო ყურადღება.
სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყოველწლიურად მოსწავლეთა გამოკითხვას დიდი ყურადღება ეთმობოდა. წარმომადგენლის განმარტებით, სკოლა იზიარებდა ექსპერტების რეკომენდაციას და გაითვალისწინებდა მომავალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისას.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ უკეთესი იქნებოდა სკოლას ოფიციალური ელ. ფოსტა შეეცვალა და გამოეყენებინა საერთაშორისო მეილ პლატფორმა, რათა სკოლის მონაცემები დაცული ყოფილიყო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდათ განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 100 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრაალის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100- ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს გრაალს (ს/კ: 404901166) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

4. შპს ახალი ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ცირა ნიკოლაშვილმა და ეკატერინე ვეკუამ.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ შპს ახალ ქართულ სკოლაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 10 და 11 მაისს. მისი განმარტებით, სკოლაში გამოვლინდა გარკვეული შეუსაბამობა ავტორიზაციის სტანდარტის საგანმანათლებლო პროგრამებისა და ადამიანური რესურსების ნაწილში, რის შედეგადაც, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაციები სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. აქვე, ცირა ნიკოლაშვილმა დაამატა, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები სკოლამ გაითვალისწინა და წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუმცა, ვიზიტის პერიოდის შემდეგ.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განმარტა, რომ შპს ახალი ქართული სკოლა წარმოადგენდა შპს სკოლა-ლიცეუმ კვირიკეს სამართალმემკვიდრეს, რომელმაც დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება მოიპოვა 2012 წელს. ექსპერტის თქმით, 2016 წელს სკოლამ ავტორიზაციის საფუძველზე დაიმატა საბაზო საფეხურის პროგრამა. აქვე, ცირა ნიკოლაშვილმა, დაამატა, რომ სკოლის ამჟამინდელი სურვილი იყო დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განმარტა, რომ სკოლა ფლობდა ზღვრული რაოდენობის შესაბამის მატერიალურ რესურსს. სკოლას ჰქონდა 210 მოსწავლისთვის განკუთვნილი საკლასო ოთახები, მერხები და შესაბამისი საკლასო ინვენტარი.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ სკოლაში იყო უსაფრთხო, დაცული, კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი გარემო. ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 87 მოსწავლე. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად, დადგინა, რომ სკოლაში სწავლება მიმდინარეობდა მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
ექსპერტ, ცირა ნიკოლაშვილის თქმით, სკოლა მდებარეობდა ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N47-ში არსებული შენობის მესამე სართულზე. შენობის შესასვლელში დამოტაჟებული იყო ორი ვიდეო კამერა, რომელთაგან ფუნქციონირებდა მხოლოდ ერთი, თუმცა, ის ვერ უზრუნველყოფდა სკოლის გარე პერიმეტრის სრულყოფილ კონტროლს. აქვე, ცირა ნიკოლაშვილმა დაამატა, რომ სკოლას ჰქონდა ორი საევაკუაციო გასასვლელი.
ექსპერტ, ცირა ნიკოლაშვილის თქმით, ექსპერტთა მხრიდან რეკომენდაცია გაიცა შესაბამისი სპეციალობის ექიმის შერჩევასთან დაკავშირებით. აქვე, მან დაამატა, რომ მოსწავლეთა მიმართვიანობა აღწერილიყო შესაბამისი აღრიცხვის ფორმაში და სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილიყო სამედიცინო ტახტით. ექსპერტის განმარტებით, სკოლამ აღნიშნული რეკომენდაციები გაითვალისწინა და წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. ცირა ნიკოლაშვილის განმარტებით, ექსპერტთა მხრიდან რეკომენდაცია გაიცა პროგრამული ნაწილის მიმართულებითაც, რომელიც ეხებოდა მოსწავლეთა შეფასების წესს. ექსპერტის თქმით, სკოლის რეგულაცია სემესტრული გამოცდის ჩატარების ვადებთან დაკავშირებით განსხვავებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ვადებისაგან და სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იყო განსაზღვრული მოსწავლისათვის ექსტერნატის გამოცდის დანიშვნის საჭიროება გაცდენების შემთხვევაში.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში ირიცხებოდა ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე. ექსპერტის თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იყო განსაზღვრული ინკლუზიური განათლების განხორციელების სკოლის კონცეფცია, იდენტიფიცირებისა და მართვის საკითხები. სკოლამ ვერ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, შიდა მონიტორინგის წესი, შიდა მონიტორინგის ჯგუფის ამსახველი დოკუმენტაცია და შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა. ექსპერტმა დაადასტურა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები სკოლამ გაითვალისწინა და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა გააგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი 2021-2022 სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კვირეულ საათობრივ დატვირთვას, თუმცა, წლიური საათობრივი დატვირთვის შესახებ ინფორმაცია სკოლის მიერ არ იყო წარმოდგენილი. ექსპერტის თქმით, განსხვავება შეეხებოდა მხოლოდ უცხოურ ენებს. სკოლაში პირველი უცხო ენის, ინგლისური ენის სწავლება იწყებოდა პირველი კლასის პირველი სემესტრიდან, ხოლო მეორე უცხო ენის სწავლება იწყებოდა მეხუთე კლასიდან და გრძელდებოდა მეცხრე კლასის ჩათვლით, ორსაათიანი კვირეული დატვირთვით. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში დამატებითი მომსახურების სახით, ისწავლებოდა რუსული ენა, როგორც ფაკულტატური საგანი, პირველ და მეოთხე კლასებში ორსაათიანი კვირეული დატვირთვით. აქვე, ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში ისწავლებოდა გერმანული ენა, რომლის სწავლების შესახებ, ინფორმაცია არ იყო ასახული სასკოლო სასწავლო გეგმაში.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ მეშვიდე კლასში მყოფ მოსწავლეებს სკოლამ შესთავაზა არჩევანი რუსულ და გერმანულ ენებს შორის, რის შედეგადაც, სამმა მოსწავლემ აირჩია გერმანული ენა და შეწყვიტა რუსულის ენის შესწავლა. ექსპერტის თქმით, მეშვიდე

კლასის მოსწავლეებისათვის გერმანული ენის შეთავაზება რუსული ენის შეწყვეტის სანაცვლოდ არ მიჰყვებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული უცხოური ენების სწავლების სქემას.
ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის მეორე დღეს სკოლამ წარმოადგინა პროექტი, რომლის მიხედვითაც, სკოლა გეგმავდა V კლასის მოსწავლეებისათვის შეეთავაზებინა რუსული ან გერმანული ენა მეორე უცხოური ენის სტატუსით, თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმის სხვა ნაწილი განსხვავებულ სურათს იძლეოდა, კერძოდ, I და IV კლასის გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს შორის ფიქსირდებოდა რუსული ენის სახელმძღვანელოებიც, რაც ექსპერტის განმარტებით, ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ რუსული ენის სწავლებას სავალდებულო ხასიათი ჰქონდა, ხოლო სხვა ნაწილში რუსული განსაზღვრული იყო, როგორც ფაკულტატური საგანი. ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ სკოლას მკაფიოდ უნდა განესაზღვრა უცხოური ენების სწავლების საკითხი სასკოლო სასწავლო გეგმაში.
ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო 25 მასწავლებელი, მათგან 17 მასწავლებელს ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 2 პედაგოგი იყო შემცვლელი, 4 მოწვეული მასწავლებელი, რომლებიც კანონით განსაზღვრული საათობრივი დატვირთვით მუშაობდნენ. სკოლაში დასაქმებული იყო 1 მაძიებელი მასწავლებელი, 1 უსტატუსო მასწავლებელი და 1 წამყვანი მასწავლებელი, რომელთანაც არ იყო გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 174/ნ ბრძანების მიხედვით. კერძოდ, ხელშეკრულებაში არ იყო წარმოდგენილი ოთხი ფუნქცია, რომელსაც ითვალისწინებდა აღნიშნული ბრძანება. ექსპერტმა ცირა ნიკოლაშვილმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია და წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა სკოლის მიერ შრომით ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ფუნქციებს. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლა საჯაროდ აქვეყნებდა მასწალებელთა ვაკანსიებს, თუმცა კონკურსის გამოცხადების შესახებ დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი არ გამოიცემოდა და არ იყო წარმოდგენილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები.
ექსპერტ, ცირა ნიკოლაშვილის განმარტებით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის დებულება, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული ჯგუფის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია არ იყო წარმოდგენილი. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ გასაუბრების გზითაც ვერ დადასტურდა ჯგუფის მუშაობის პროცესი. დაწესებულებაში ასევე არ იყო შემუშავებული ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმი, რის შედეგადაც ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, შემუშავებულიყო შესაბამისი ხელშეწყობის მექანიზმები.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფდა მოსწავლეებს დასვენებისა და ორჯერადი კვების შესაძლებლობით. მოსწავლეთა მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ თანამშრომლობითი კომუნიკაცია ჰქონდათ სკოლის დირექციასთან, შესაძლებლობა ჰქონდათ გაეზიარებინათ საკუთარი ინიციატივები და საჭიროებები სკოლის წარმომადგენლებთან. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლაში იმართებოდა სასკოლო-შემეცნებითი, სპორტული-შემოქმედებითი ღონისძიებები და ფუნქციონირებდა სამკითხველო ღონისძიებები.
ექსპერტმა, ეკატერინე ვეკუამ, განაცხადა, რომ სკოლაში კეთილგანწყობილი და მოწესრიგებული გარემო იყო. მისი თქმით, მოსწავლების მშობლებმა გასაუბრებისას კმაყოფილება გამოხატეს სკოლის მიდგომებთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ რატომ უფიქსირდებოდა სკოლას ბევრი შეუსაბამობა და განემარტათ, შეძლებდა თუ არა სკოლა მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში რეკომენდაციების გარეშე, კანონმდებლობასთან შესაბამისად, საკუთარი საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვას.

სკოლის დირექტორმა, მადონა ლანჩავამ, განაცხადა, რომ სკოლამ ექსპერტებს სთხოვა, რაც შეიძლება მეტი რჩევა მიეცათ, რათა გაუმჯობესებულიყო სწავლების ხარისხი სკოლაში. მადონა ლანჩავას განმარტებით, სკოლის არსებობის განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება აძლევდა იმედს, რომ მომავალში უკეთესად შეძლებდნენ საქმიანობის წარმართვას. აქვე, მან დაამატა, რომ სკოლას პანდემიის შემდგომ საკმაოდ რთული პერიოდი ჰქონდა, რადგან ამ პერიოდში სკოლიდან 45 მოსწავლე გადავიდა საჯარო სკოლაში.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა სკოლის დირექტორს დაეზუსტებინა ექსპერტების მიერ გაცემული რომელი რეკომენდაციები და ხარვეზები გაითვალისწინა და აღმოფხვრა სკოლამ.

სკოლის დირექტორმა, მადონა ლანჩავამ განმარტა, რომ მათ სამედიცინო კაბინეტი შესაბამისი ინვენტარით აღჭურვეს და ექიმის პოზიციაზე შეარჩიეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრი. აქვე, მან დაამატა, რომ მოსწავლეებს მეორე უცხო ენად შესთავაზეს გერმანული ენა და ამჟამად გერმანულ ენას სკოლაში სწავლობდა 3 მოსწავლე. მისი თქმით, სკოლამ განაცხადი გააგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გერმანული ენის სწავლების დამატების შესახებ, ყოველკვირეული თითო საათის დატვირთვით, რის შედეგადაც, მოსწავლეებს მეთორმეტე კლასის ჩათვლით მიეცემოდათ შესაძლებლობა დაეფარათ გერმანული ენის A2.3 დონე. ასევე, მიმდინარეობდა დანარჩენი რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისიწინებაც და სკოლა გამოხატავდა სრულ მზაობას აღნიშნულთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს განემარტა, თუ ჰქონდათ გამოკვლეული პანდემიის პერიოდში რატომ გადავიდა მოსწავლეთა ნაწილი საჯარო სკოლაში.

სკოლის დირექტორმა, მადონა ლანჩავამ განმარტა, რომ მოსწავლეთა მშობლების მხრიდან არ ყოფილა უკმაყოფილება. გადასვლის მიზეზი კი გახდა, სკოლის საფასურის დაფარვის შესაძლებლობა, თუმცა, სკოლის წარმომადგენელმა, აქვე დაამატა, რომ აღნიშნული მიზეზით სხვა სკოლაში გადასული რამდენიმე მოსწავლე ეტაპობრივად მათ უბრუნდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს განემარტა, როგორ მიმდინარეობდა სწავლება სკოლაში პანდემიის პერიოდში, ჰქონდათ თუ არა შემუშავებული სტრატეგია ონლაინ ფორმატში განხორციელებული სწავლების შესახებ.

სკოლის წარმომადგენლმა, მადონა ლანჩავამ განმარტა, რომ მოსწავლეები და მათი მშობლები გამოხატავდნენ კმაყოფილებას ონლაინ სწავლებასთან მიმართებით, რაც დასტურდებოდა გამოკითხვის შედეგებით.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს დაეზუსტებინათ რომელი ხარვეზი რჩებოდა სკოლის მხრიდან გამოსასწორებელი.

ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განმარტა, რომ მან შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. სასურველი იყო სკოლას მათთვის მოეწოდებინათ საშუალო საფეხურზე დასაქმებულ პედაგოგებთან დადებული ხელშეკრულებები და სერტიფიკატები, რომლითაც დაადასტურებდა პოზიციაზე დასაქმებული პირების კომპეტენციას. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ არ გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაცია მეორე უცხო ენის სწავლების სქემასთან დაკავშირებით. მისი თქმით, დაწესებულების პოზიციით, კერძო სკოლას უფლება ჰქონდა უცხო ენის სწავლება დაეწყო ნებისმიერი კლასიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა ექსპერტ, ცირა ნიკოლაშვილს დაეზუსტებინა, თუ რატომ არ ეთანხმებოდნენ ექსპერტები სკოლის პოზიციას.

ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განმარტა, რომ სკოლის მოსწავლეები ვერ მოასწრებდნენ სკოლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული ნიშნულის მიღწევას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, განაცხადა, რომ ის იზიარებდა სკოლის პოზიციას, რადგან კერძო სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 48.-ის მიხედვით, უფლება ჰქონდა ნებისმიერი კლასიდან დაეწყო მეორე უცხო ენის სწავლება.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაესახელებინათ ის ხარვეზი, რაც სკოლას გამოსასწორებელი ჰქონდა და დაეზუსტებინათ მეცხრე კლასის მოსწავლეები, რომლებიც სწავლობდნენ გერმანულს, სწავლობდნენ თუ არა რუსულ ენასაც.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტების მხრიდან გაცემული ყველა ძირითადი რეკომენდაცია სკოლამ გაითვალისწინა, თუმცა, პრობლემად რჩებოდა უცხო ენების სწავლებასთან დაკავშირებული საკითხი. ცირა ნიკოლაშვილის განმარტებით, სკოლის მოსწავლეთა მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მშობლები გამოხატავდნენ წუხილს მეორე უცხო ენის სწავლების სქემასთან დაკავშირებით. აქვე, ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის წარმომადგენელი მადონა ლანჩავა, გეგმავდა მომავალი წლიდან რუსული ენის ერთი საათის, ფაკულტატური სახით დამატებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდათ განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 210 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი ქართული სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 210-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ახალ ქართულ სკოლას (ს/კ: 404909532) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 210 -ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს წევრი ეკატერინე კვირიკაშვილი არ დაეთანხმა სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს. მან განმარტა, რომ ექსპერტთა დასკვნაზე დაყრდნობით, სამი სტანდარტიდან სკოლას არ ჰქონდა დაკმაყოფილებული ორი სტანდარტი. ეკატერინე კვირიკაშვილის განმარტებით, მის მიერ დასმულ კითხვაზე მან ვერ მიიღო პასუხი, რომელიც ცხადყოფდა სკოლის ხედვას, სტრატეგიებს, მექანიზმსა და დაარწმუნებდა საბჭოს წევრს, რომ სკოლა სწრაფადცვალებად

გარემოში შეძლებდა წარმატებით გამკლავებოდა გამოწვევებს და ზედმიწევნით დააკმაყოფილებდა მოსწავლეთა ინტერესებს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:40 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა